გაზეთი ღირს:

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური.


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და ყერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბაზუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს დ გრიქუროვის წიგნებისმაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი


გაზეთი „ივერია“ 1 ივნისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მან. 50 კაპ.

ტფილისი, 14 ივნისს

ჩვენს მკითხველებს უკვე მოეხსენებათ ყოვლად სამწუხარო ამბავი, რომ თაქთაქიშვილს ბეჟანოვი მოუკლავს. თუმცა ჯერ საქმის გარემოება და ამ უწყალო ქცევის მიზეზი დაწვრილებით არავინ იცის, მაგრამ რაკი კაცის კვლაა აქ, ყოველის რიგიანის ადამიანის გრძნობა შეძრწუნებულია და აღშფოთებული ამ საუბედუროდ ჩადენილის ბოროტის გამო. სიცოცხლე ადამიანისა მეტად ძვირფასი რამ არის და მისი ასე თუ ისე წართმევა დიდ-ცოდვად და დანაშაულობად მიაჩნია კაცობრიობის წინაშე ყოველს ადამიანსა. ჯერ როცა თვით მიუდგომელი მართლ-მსაჯულება სჯის ადამიანს სიკვდილითა, მაშინაც კი იმღვრევა და ძრწის ადამიანის გრძნობა და რაღა ითქმის მაშინ, როცა ამისთანა საქმეს სჩადის ცალკე კაცი. რაც უნდა პატივ-სადები მიზეზი მიუძღვოდეს, კაცის-მკვლელს ყოველი განათლებული ქვეყანა, ყოველი პატიოსანი კანონი სდევნის და დაუსჯელად არ უშვებს.

ამიტომაც კანონი ითხოვს, რომ ყოველივე გარემოება გარეგანი და შინაგანი ამ საშინელის დანაშაულისა გამოძიებული იქმნას, პირუთვნელად და მიუდგომელად შეძლებისამებრ აღმოჩენილი იყოს ყველაფერი, რაც კი ასე თუ ისე შუქსა ჰფენს არამც თუ მარტო დანაშაულის გარეგანს სახესა, არამედ დამნაშავის სულისა და გულის მოძრაობასაც დანაშაულის ჩადენის დროს და ყოველივე ეს უტყუარის საბუთებით შემოწმებულ იქმნას.

«Новое Обозрѣніе»-მ კი გუშინწინდელს ნომერში თავისი განაჩენი წარმოსთქვა კიდეც თაქთაქიშვილის და ბეჟანოვის საქმის თაობაზედ. რასაკვირველია, ამით ბევრი არა დაუშავდება-რა თვითონ საქმეს და ბოროტის მოქმედს მართლ-მსაჯულება თავისას ღირსებისამებრ მიუწყავს, მაგრამ ჩვენ გვაკვირვებს, რად მოსურვებია პატივცემულს გაზეთს სიტყვის დასწრობა ამ შემთხვევაში? წინ რად უსწრო სამართალსა, რომელიც ერთად-ერთი თავმდებია ჭეშმარიტებისა და მართლისა ამ შემთხვევაში? ეს კიდევ ასე თუ ისე შეენდობა გაზეთის გულ-სწრაფობას: იქნება სამართლიანმა გულისწყრომამ, წარმომდგარმა ამ საშინელის ბოროტების ჩადენისაგან, დასძლია კეთილ-გონიერს მოთმინებას და ამღვრეულმა გულისწყრომით გულმა აღარ დააცალა დამჯდარს მსჯელობას გონებისას. ეს ყველაფერი შესაძლოა და, თუ გნებავთ, პატივ-სადებიც არის, რაკი აღვირი პირიდამ წამოიყარა იმისთანა თავში გამწევმა ვნებათ-ღელვამა, რომელსაც გულის-წყრომას ეძახიან. ხოლო ჩვენ გვაკვირვებს ამ თაქთაქიშვილის საქმეში რაზედ ჩაუთრევია და ჩაუბამს ჩვენი საზოგადოება პატივცემულს გაზეთსა. აქაური საზოგადოება რა შუაშია, რომ თაქთაქიშვილმა ბეჟანოვი მოჰკლა? სად საზოგადოება სად თაქთაქიშვილი და ბეჟანოვი?

გაზეთის სიტყვით, იგი საზოგადოება, საცა დაიბადა და აღიზარდა თაქთაქიშვილი, იმოდენად ჯერ კიდევ ველურია და შეუწყნარებელი, რომ მისი აზრი და ზნეობა არამც თუ შესაძლოდა ჰხდის თაქთაქიშვილისთანა ბოროტის ჩადენას, არამედ ამართლებს კიდეცაო. ღმერთო, გვიხსენ ამ ნაირ გამკითხველისაგან! მაშ ამას იქით საცა კაცმა მოჰკლას კაცი იქაური, საზოგადოება ველურ საზოგადოებად უნდა ჩაითვალოს. თუ ესე ვიარეთ, მაშინ მთელი ევროპა, მთელი ქვეყანა ტყის ნადირთა სადგურად გარდიქცევა „Новое Обозрѣніе“-ს მანქანებით. მადლობა ღმერთს, რომ ეს ასე არ არის და „Новое Обозрѣніе“-ს მანქანება ესე ძლიერ და ხელ-აღებით არა სჭრის. აქ სიტყვა მეტი მოსვლია პატივცემულს გაზეთს და მის გულსწრაფობას უნდა ეპატიოს. თუნდ ეგეც არ იყოს, ამ შემთხვევაში მცირეოდენი მაგალითიც შესაყარია და გადამდები. ვინ არ წაჰკიდებს ხოლმე ხელს საწყალს საზოგადოებას, როცა ამისთანა შემთხვევა ლაპარაკის სელერდელს აუშლის? ამას ჰქვიან რუსები რომ ამბობენ: „съ больной головы да на здоровую.“ როცა კაცს საფანელი შემოაკლდება და ფაფისაგან შეშინებულსავით დოს ბერვას დაუწყებს ხოლმე, მაშინ, რომ რწყილს აქლემიც აშობინოს, გასაკვირველი არ არის. სწორედ ამ ყოფაში უნდა ყოფილიყო პატივცემული „Новое Обозрѣніе“, როცა ასე უმიზეზოდ, ერთის კაცის დანაშაულობის გამო, მთელი საზოგადოება სამარცხვინო ბოძზედ გააკრა. აქ „Южный человѣкъ“-ის გულ-ფიცხობა კი არ არის მიზეზიო, ამბობს დაცინვით გონება მახვილი გაზეთი: ჭეშმარიტი მიზეზი უმწვერვალესი სიღატაკეა გონებისა და ზნეობისაო. რაკი ეგ დაუჯინია გაზეთსა, იყოს ნება მისი ვიდრე ბედი შეეწეოდეს და თვალს აუხელდეს.

## ახალი ამბავი

*** ლალიევის საქმე სამხედრო პროკურორს შეუტანია ამ ივნისის 11-ს კავკასიის სამხედრო-ოლქის სასამართლოში ბრალ-მდებელის ოქმით. 12 ივნისს დამნაშავეს გარდასცეს კოპიო ბრალ-მდებელ ოქმისა და მან განაცხადა, რომ დამცველად ნაფიც ვექილს ტურკევიჩს ვირჩევო. რადგანაც ლალიევის საქმეს სამხედრო სამართალი გაარჩევს სამხედრო კანონების მიხედვით, ამიტომ მას მხოლოდ ერთი დღე ეძლევა ვადად, რომ გამოიწვიოს თავის დასაცველად საჭირო მოწმები. გუშინწინ სასამართლომ გარდასწყვიტა, დაიბაროს ყველა მოწმები, რომელნიც-კი ლალიევმა მოისურვა. საქმის გარჩევა სა-16 ივნისოდ არის დანიშნული. გარჩევის დროს თავს-მჯდომარედ იქმნება სამხედრო მოსამართლე პოლკოვნიკი ფ. ვ. იაჩევსკი, ბრალ-მდებელი—თანაშემწე სამხედრო პროკურორისა ი. ა. ორნატსკი. მოწმებად სულ 14 კაცია მოწვეული.

*** იმ დღეს ვილაც ქ-ნს N სპარსეთის საკონსულოში საჩივარი შეუტანია ერთს სპარსელზე, რომელიც თათრების სასაფლაოსთან სდგას თურმე და ამ სპარსელს იმ ბრალსა სდებს, მკითხაობს, მითხრა, რომ თუ არ ძვირფასს ნივთებზე ვერ

## ფელეტონი

ადამიანის გამრჯელობა.—ხელთქმნილი კვერცხი.—თავის თავად მავალი ეტლი.—ცალ-თვლიანი ეტლი,—ტელეგრაფი, სახისა და სურათის გადამტანი.—ტელეგრაფი სმიტ-ედისსონისა გზა და გზა გადმომცემი დეპეშისა.—მწერალი მაშანა.—კედელი თვით მანათობელი.—კეროსინის ლამპა საკერავსა ჰკერავს.

თუმცა შექსპირმა სთქვა, რომ ქვეყნიერობაზედ ბევრი იმისთანა საიდუმლოაო, რომ თქვენს ფილოსოფებს ზმანებითაც არ ჰზმანებიათ, მაგრამ ამ XIX საუკუნემ ლამის სულ სხვა გვათქმევინოს. ეს ქათამსავით ორ-ფეხა სულიერი, რომელსაც ადამიანს ეძახიან, ლამის სასწაულად გადიქცეს. ადამიანის მოუსვენარმა გონებამ თავისი ძალ-ღონე ისეთის ძლევა-მოსილობით და გამარჯვებით ამოქმედა ამ საუკუნოში, რომ თვითონ უჯერო შექსპირსაც კი გამოაცვლევინებდა აზრს ადამიანის ჰკუის ულონობაზედ. ნეტი რა გინდათ?!. დღეს ადამიანი კვერცხსაც კი განგებ, ოსტატობით აკეთებს და ლამის საწყალ ქათმებს აზრუ გაუტეხოს და პატივი ჩამოართვას. აბა ვინ იფიქრებდა, რომ უქათმოდ, ოსტატობით კვერცხის შექმნა შესაძლო იქნებოდა! ამერიკაში ყოველ დღე მილიონობით აკეთებენ კვერცხს, მეტად მოსწონთ კიდეც ადამიანისაგან ხელ-ქმნილი კვერცხი და ჰფიცავენ, რომ მართალს კვერცხს სჯობია გემოთი და ნოყიერობითაო. მოდით და სასწაულად ნუ ჩასთვლით ამისთანა ოსტატობას! სახელი და დიდება ამის მომგონს, მაგრამ სასაცილოკია, რომ კაცმა ქათმის ხელობა დაიჭიროს და ამ მხრით, როგორც გვარწმუნებენ, აჯობოს კიდეც ქათამსა. რა თქმა უნდა, გაოსტატებულს და ყოველთვის გამბედავს და მოსწრებულს ამერიკელს ეს სასაცილობა აინუნშიაც არ მოუვა, ოღონდ-კი მაგ ქათმის ხელობამ რაიმე შევბა მისცეს ცხოვრებაში ან თვითონ მომგონს, ან მის მოძმესა.

ამერიკელები გათქმულნი არიან ამისთანაებში. ბედნიერი ხალხია. ნეტავი იმათ!.. ისევ იმ ბედნიერმა ამერიკელმა მოიგონა ერთის კაცის მატარებელი ეტლი, რომელიც თავისთავად დადის. ამისთანა ეტლი კარგა ხანია მოგონილი იყო, ხოლო დღეს უფრო განაკარგეს და სრულ ჰქმნეს. აქამდის ეს უცნაური ეტლი, რომელსაც ველოსიპედი ჰქვიან, ისე იყო გამართული, რომ ვინც დაუჯდებოდა, იმას ფეხთა მოძრაობით მავთულები უნდა ემოქმედებინა, ეს მავთულები თვლებს ატრიალებდნენ და ეტლი მიდიოდა. რა თქმა უნდა ეს მეტად სამძიმო იყო კაცისათვის: ჯერ რომ ძალიანა ჰღალავდა, მერე დიდს მანძილსაც ვერ გაივლიდა შეუსვენებლივ. ეხლა კი ისე გაუმართავთ, რომ ჯაფა და გარჯა აღარ უნდება: ველოსიპედი თავის თავად დადის ორთქლის შემწეობით, როგორც რკინის-გზის მატარებელი. ამისათვის საცა კაცის დასაჯდომია, იმის ქვეშ ორ-თვალ შუა პატარა ორთქლის მაშინაა გაკეთებული. შეშის მაგიერ ამ ორთქლის მაშინისათვის ნავთსა ჰხმარობენ, რადგანაც ნავთს ცოტა ადგილიც უნდება და უფრო მეტი სიცხოველეცა აქვს. სამყოფი ნავთისათვის ცალკე ჭურჭელია უკანა პატარა თვალზედ. აქედამ ნავთი მილით გადადის მაშინის ქვაბში. მეორე ჭურჭელი წყლისაა და ექვსი თუნგი წყალი ჩადის. ზედმჯდომელს ველოსიპედზედ ხელთა აქვს მავთული, რომლის შემწეობითაც უნდა აჩქარებს მატარებელს, უნდა ნელა წაიყვანს და საითაც უნდა იქით მატრიალ-მოატრიალებს. ეს მატარებელი ერთს საათში შვიდმეტს ვერსტს აკეთებს და ნავთი და წყალი საგზლად იმდენი აქვს, რომ ოთხს საათსა ჰყოფნის. ამ სახით ერთს ხანობაზედ ამისთანა მატარებელით კაცი ოთხს საათში 64 ვერსტს გაირბენს და თუ მეტი უნდა, ნავთი და წყალი ხელმეორედ უნდა ჩაასხას თავ-თავის ადგილას. არა ნაკლებ საყურადღებოა და უცნაური ცალ თვლიანი ეტლი, რომელიც ცხენით სატარებელია ესეც ამერიკელის მოგონილია და ერთის კაცის ჩასაჯდომელია. თვალს ღერძი უყრია, ღერძი ორსავე მხრივ იმოდენად არის მორგვის გარედ, რომ ზედ ოთხ-კუთხი ჩარჩოა დანდობილი ასე, რომ ერთად-ერთი თვალი ჩარჩოს შუა ტრიალებს. ორი რუსულ „ოგლობლისავით“ მოხრილი ხელნაა ჩარჩოზედ თვლის ორსავე მხრივ დამაგრებული. ამ ხელნაებზედ, თვლის ასწვრივ, ზემოდამ დასაჯდომელია კაცისა, ხელნაებში ებმის ცხენი. ძალიან ოსტატობა კი უნდა თურმე, რომ ამ ეტლზედ თავი შეიმაგროს კაცმა, რადგანაც მცირეოდენი გადახრა ან იქით. ან აქეთ ისე შეატოკებს ეტლსა, რომ კაცი ზედ ველარ დადგება. ჩვენი ქართველებისა კი რა მოგახსენოთ და ამერიკელები კი ამისთანა ეტლს მარტო იმის გამო არ დაიწუნებენ, რომ მის ხმარებას გამოცდილება და ოსტატობა უნდაო. ამერიკელი ისეთის ბუნებისაა, რომ ოღონდ კი საქმე ჰკუაში მოუვიდეს და გაოსტატებას არ დაიზარებს.

არც ინგლისის ერი ჩამოუვარდება ამერიკელებს ჰკუის გამჭრიახობაში. ინგლისელებიც ამისთანაებში მეტად ყოჩაღები არიან. ერთს ინგლისელს,—ლეიტენანტს ალექსანდრე გლენს,—1884 წ. აზრად მოსვლია, რომ ტელეგრაფის შემწეობით ადამიანის სახე და ერთობ მხატვრობა რამ გადასცეს ისე, როგორც სიტყვებს გადასცემენ ხოლმე. ამ საოცარს აზრს მაშინ როგორღაც ჩაილულის წყალი დაულევია და არავისი ყურადღება არ მოუპოვებია. ეხლა კი ამ რამდენსამე თვის წინად ინგლისის ინჟინერმა მელვილმა იგივე აზრი წარუდგინა სამხედრო სამინისტროს და „პრივილეგიაც“ მიიღო. თქვენ აზრის მოსვლა სთქვით თავში, თორემ თვითონ საქმე კი დიდი მანქანება არ არის. ამის მომგონი იმავე ტელეგრაფსა ჰხმარობს, რომლითაც დეპეშები იგზავნება და თითქმის იმავ ასოებსაცა. ხოლო ასონი ამ შემთხვევაში სიტყვის გადამცემელნი კი არ არიან, არამედ ნიშნებისა, წერტილებისა, ხაზებისა, რომელნიც წინადვე მომზადებულ თაბახ ქაღალდზედ ინიშნებიან. სახე, ანუ მხატვრობა, რომლის გადაცემაც უნდათ ერთის ადგილიდამ მეორეზე ტელეგრაფით, ჯერ გამოჰყავთ ქაღალდზედ; ეს ქაღალდი დახაზულია პატარ-პატარა ოთხ-კუთხიან უჯრებად, როგორც ჯანდრაკის ფიცარია. თვითოს ოთხ-კუთხიანს უჯრას მარცხნიდამ მარჯვნივ და ზევიდამ ქვევით რიგზედ ანბანის ასო უზის ასე, რომ ასოები, ერთმანეთზედ ანბანებურად მიყოლილი, უჯრების გარდი-გარდმო და ალმა-დალმა ხაზებს უზის. ამისთანა ქაღალდზედ ჰხატვენ ადამიანის სახეს, ანუ სხვა რომელსამე სამხატვრო

გკითხავო, ძვირფასი ნივთები და ფული მიმატანია და გამომტყუაო. სამკითხველო საგანი, ვილაცა პრაპორჩიკი ყოფილა, რომელსაც ქ-ზ-ნ N გული დაუმარცხებია. საკვირველია, რომ კიდევ იპოვებიან ჩვენში იმ ნაირნი პირნი, რომელთაც სჯერათ მკითხაობა და ეჟვლეფინებიან ბაშვებივით გაიძვერა ხალხს, რომელიც მათ სისულელეს დასცინის და ფულსა სტყუებს.

*** რიცხვი ყველა სომხურის გაზეთებისა და ჟურნალებისა, რომელიც ამ ჟამად გამოდის—37-მდეა. ეს გაზეთები ხუთს სახელმწიფოში გამოდის. ყველაზედ დიდი რიცხვი ოსმალოს სომხებს მოზდით, შემდეგ რუსის სომხებს და დანარჩენი სამი გამოცემაც გამოდის იტალიასა, ბოლგარიასა და ფრანციაში. ოსმალეთში გამოდის 24, ამათში 22 კონსტანტინეპოლში გამოდის და 2 სმირნაში და 9 გაზეთია და 15 ჟურნალი. რუსეთში გამოდის 10-მდე—4 გაზეთი, 6 ჟურნალი. ეს ათი გაზეთი გამოდის ტფილისსა, ერევანსა, ეჩმიაძიანსა და ახალ-ციხეში. მარსელში გამოდის გაზ. „არმენია“, პორტუგალიანცის რედაქციით. ვენეციაში გამოდის ყოველ-თთვიური ჟურნალი «ბაზმავენი». ვარნაში—„ირავუნქი“, უკანასკნელის გაზეთის გამომცემელი «ჰაირასირაც»-ის საზოგადოებაა.

*** 13 ივნისს, 1-ლ კლასიკურს გემნაზიაში ეგზამენები მორჩა. სწავლის შესასრულებელი ეგზამენი 37 კაცმა დაიჭირა, ამათში სწავლის შესრულების მოწმობა 32 მიეცა, სამი შეგირდი ერთი წელიწადიც უნდა დარჩეს მე-8 კლასში და ორი დაითხოვეს იმ უფლებით, რომ ერთის წლის შემდეგ ნება ექმნებათ კვლავ შეიდნენ საშუალო სასწავლებელში. 37 შეგირდში არც ერთი არ აღმოჩნდა ოქროსა და ვერცხლის მედალის ღირსი; ხოლო 11 შეგირდს 150 მანათი ეძლეოდათ გემნაზიიდგან შესაწევრად, როგორც ღარიბებს, ამათში ერთი ქართველია. სწავლა შესრულებულთა რიცხვში 11 რუსია, სომეხი—12, ქართველი—4, პოლიაკი—2, 1—ურია, 1 თათარი და ერთიც ბოლგარელი. რჯულით 15 მართლ-მადიდებელია, 12 გრიგორიანელი, 3 ფრანგი, 1 მუსულმანი და ერთიც ებრაელი.

*** ყიზილ-არვატზე 20 ვერსზე არის გოგირდის მადანი, რომელიც ტფილისელ ვაჭრების ხელში იყო. ეხლა, გაზეთ „Каспій“-ს სიტყვით, თავი დაუნებებიათ ხსენებულ ვაჭრებს. თავ-დანებების მიზეზი ისა ყოფილა, რომ სიცილიიდგან მოტანილი გოგირდი უფრო იაფადა ჯდებაო. მარტო 200 ვერსის გატანაზე აქლემებით ფუთი 35 კაპეიკი უჯდებოდათ თურმე.

*** სოხუმიდამ მოუწერიათ, აქაურებმა გარდასწყვიტეს, რომ ააშენონ ქალაქის ხარჯით სკოლა, რომლისათვისაც 14 ათასი მანათია გადადებულიაო. ამ სასწავლებელში წერა-კითხვის გარდა, სახელოსნო კლასებიც იქნებაო და ხელოსნობასა და ბაღოსნობას შეასწავლიან შეგირდებსაო.

*** ქალაქის «დიდი მრუდე ქუჩა» იწყობა თათრის მეიდნიდამ და მოდის აბას-აბათის მეიდნამდე. ერთხელ მაინც რომ გაიაროთ ამ ქუჩაზე, მაშინვე იფიქრებთ რომ ამ ქუჩაზე მიმომსვლელნი და მცხოვრებნი სწორედ რომ უბედურ დღეს არიან დაბადებულნიო: ამ ქუჩის თავი „აბას-აბათის მეიდანი“ შემოფიცრეს და დააწყეს დამპალი ხე-ტყე დანგრეულის სახლებისა, კირი, მიწა, ქვიშად ნამტვრევი აგური. ამისთანა ქარიშხალებს მიაქვს, ყველა ეს ფხნილი მასალა ახლო-მახლო ქუჩებში და გავლა შეუძლებელია. ცოტა ქვევით რომ ჩახვალთ, სახლს № 17 აქცევენ, ბანის მიწას შუა ქუჩაში ჰყრიან და ხე-ტყეს აწყობენ «დვორიანსკების» ქუჩაზე, რომელზედაც ორი ფაეტონი უამისოდაც გზას ვერ აუქცევს ერთმანეთსა. ვინც იცის, რომ აქაური ბანების მიწა გაცრილია და ბზესავით ნიავდება, ადვილად წარმოიდგენს, რა მდგომარეობაში უნდა იყვნენ მცხოვრებნი და გამვლელ-გამომვლელნი. ამ ქუჩის ბოლოში—„თათრის მეიდნის“ თავში სახლს № 75 მეორე სართული მოანგრიეს და ხალხს სულ თავპირი ამტვრიეს მაღლიდგან გადმოყრილის აგურებითა. ქალაქის წესდების ძალით, ამ სახლების პატრონებს უნდა ქუჩის ნაწილი შემოეფიცრათ ხალხის გასაფრთხილებლად, და შიგ დაეყარათ ნაქცევ, მაგრამ... ამავე ქუჩაზე შეგხვდებათ დახოცილი ძაღლები, კატები, ქათამი და სხვანი და ამ სიცხეებში, რასაკვირველია კარგად მოქმედობს ყველა ეს ხალხის ჯან-მრთელობაზე. ამავე ქუჩის ბოლოში ყველა ამ უწესოების დასაგვირგვინებლად დაუყენებიათ ერთი მოხელე № 146: თუ რომელიმე მეფაიტონე გადაურჩა ამას კბილებ-ჩაუმტვრეველი დიდ-ბედნიერად უნდა ჩასთვალოს თავისი თავი. ეს ვაჟბატონი ისე მუყაითად არის თავის თანამდებობაზედ, რომ გუშინწინ, 12 ამ თთვეს, სრულიად უმიზეზოდ ყბა გაუჩეხა ერთ იმერელ მეფაეტონეს. თურმე ქალაქის გამგეობა, თუ რომელსამე ქუჩას «დიდს» უწოდებს, მხოლოდ მაშინ უწოდებს, როცა ამ ქუჩაზე დიდი უწესოება ჰსუფევს.

## დამაკვირდი!

როცა კაცი ნამუსსა და სიცოცხლეს სასწორზედ სდებს და ორში ერთი უნდა აირჩიოს,—მაშინ თუ ნამუსს ირჩევს, ეგ კიდევ იმას არა ჰნიშნავს, რომ სიცოცხლეს არაფრად აგდებს, არამედ იმასა ჰნიშნავს თუ,—რა ფასად უღირს ნამუსი. (ბოშუე.)

—

შურიან კაცს აუბედურებს საკუთარი უბედურება და სხვის ბედნიერება. (ბუასტ.)

—

ქვეყანა სამოთხედ გარდიქცეოდა, რომ ქრისტეს რჯულს მთლად და უნაკლულოდ ასრულებდნენ. (ბერნარდენ დე-სენპიერი)

—

ბოროტია იგი, ვინც კეთილია მარტო თავის თავისათვის. (სირუს.)

—

სჯობს მონა ბრძენი უგუნურს
ბატონსა მოხუცებულსა,
არ ეთხოვება კეთილი
კაცსა ცრუ ცნობა-ვნებულსა.
(არჩილ მეფე)

—

სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების
ჴ ვით ყვავილი თავის დროზე მსწრაფლად
დასჭკნების.
(თ. ს. ბარათაშვილი)

—

თუ გწადს შენსა საყვარელს
გულით შეუყვარდეო,
შენთვის დასვრით დაჭრილსა
სისხლსა ცრემლით ჰბანდეო.
(დავით გურამიშვილი)

—

გულის საუნჯე მაქვს სავსე
საიდუმლოთა სჯეკალთა,
მაგრამ ვერ გავხსნი, ვერ ვიტყვი:
ენაზედ მასმენ ეკალთა.
(ვახტანგ VI)

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ამ დღეებში ჩვენს მკითხველებს გავაცანით ის წერილი, რომლითაც გაზეთმა „Московскія Вѣдомости“-მ გამოილაშქრა ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ. გაზეთმა სხვათა შორის გადაჰკრა იმ გაზეთებს, რომელნიც ვითომ ხსენებულს სამინისტროს გადმობირებული ჰყავს, სახელდობრ, დასახელებულნი იყვნენ გაზეთები: „Русскія Вѣдомости“ და „Новое Время“.

გაზეთმა «Русскія Вѣдомости»-მ მართებულად და ღირსეულად აგო პასუხი და ერთხელ კიდევ დაუმტკიცა გაზეთ „Московскія Вѣдомости“-ს, თუ რამდენად შემცდარია ამ უკანასკნელის ფინანსიური მოსაზრებანი.

რაც შეეხება გაზეთის ცილის-წამებას, ვითომ ჩვენ ფინანსთა სამინისტროსაკენ ვიყვნეთო, —ათავებს გაზეთი „Русскія Вѣдомости“ თავის პასუხს,—ჩვენ იმდენად პატივსა ვსცემთ ბეჭდვითს სიტყვასა, რომ თავს არ დავიმდაბლებთ და ამავე სათაკილო და უკადრისის იარაღით არ გამოვეკიდებით ჩვენ მოწინააღმდეგესაო.

სრულიად სხვა-გვარს პასუხს იძლევა გაზეთი «Новое Время». ჯავრობა დაიწყოო მას აქედ, რაც „Московскія Вѣдомости“-მ თავის „ფინანსიურის სისტემით“ ვერა

---

სა. სწორედ ეგრე მომზადებული თაბახი ქაღალდი მეორე ტელეგრაფის სტანციაზედ არის. საიდამაც სახეს, ანუ მხატვრობას ჰგზავნიან, იქიდამ ტელეგრაფით ორ-ორს ასოს ერთად გადასცემენ ხოლმე ერთს გარდიგარდმო ხაზისას და მეორე აღმა-დაღმისას. საცა ეს ორის ასოს ხაზი ერთმანეთს შეეყრება, იმ უჯრაში მიმღებმა უნდა კარანდაშით წერტილი დასოს უჯრა-უჯრად დახაზულ ქაღალდზედ თავისის ხელით. სად უნდა მქრალად იყოს და სად მუქად ამასაც ანიშნებენ ხოლმე საკუთრივ ამისთვის ნიშნობლივ მომზადებულ ქაღალდზედა. ან სახისა, თუ მხატვრობის გადაცემამდე, ან მის მერმედ, რაც კიდევ საჭიროა სურათის შესავსებლად, სიტყვით ატყობინებენ ერთმანეთს რა თქმა უნდა აგრე გადაცემულს სახეს, თუ მხატვრობას ხელოვნების სიკეთე არ მოეთხოვება, მაგრამ დედანთან იმოდენა მგზავსება კი აქვს თურმე, რომ კაცი, თუ გადახატული ადგილ-მდებარეობა ადვილად იცნობება. ესეც დიდი საქმეა. ვაი ქურდებს და ავაზაკებს ამის შემდეგ. ეგრე ადვილად ველარ გაეპარებიან რკინის გზით მართლ-მსაჯულებას, თუ მისი სახე ხელთა აქვთ. ტელეგრაფით გადასცემენ იმის სახეს, მოასწრობენ სადმე ვაგონში და ვირის აბანოში უკვრენ თავსა. ამ ახლად მოგონილს საქმეს დიდი მნიშვნელობა ექმნება ომების დროს, მაგალითებრ, ერთი ნაწილი ლაშქრისა ადვილად აცნობებს მხატვრობით მეორეს, რა ადგილ-მდებარეობა უჭირავს მტრის ჯარსა, როგორ არის გამაგრებული და დაბანაკებული.

ეს ისეთი საკვირველი არ არის, როგორც დეპეშების გადაცემა სატელეგრაფოდამ რკინის გზის მატარებელზედ, რომელიც თავ-გაგლეჯილი მირბის. ამ გვარ ტელეგრაფს სმიტ-ედისსონის ტელეგრაფს ეძახიან, იმიტომ-რომ აზრი ვილიამ სმიტისაა და განხორციელება აზრისა კი სახელოვანის ედისსონისა. ამ მოკლე ხანში სცადეს ამ გვარი ტელეგრაფი ამერიკაში რკინის გზის მატარებელზედ, რომელიც დადის კლიფტონის და ტოტტენვილის შუა და ქებით აღარ არიან, ასე კარგი გამომდგარა. მატარებელი თურმე რაც ძალი და ღონე აქვს გარბოდა და შიგ მჯდომარენი გზა-და-გზა იმ სირბილში ემუსაიფებოდნენ თავის ნაცნობებს, სატელეგრაფო სტანციაში მყოფთ. ამ საოცარის ტელეგრაფის აღწერა ძნელად მოვა, თუმცა თვით მოწყობილობა მისი არ არის რთული და ძნელი. ჩვენ მხოლოდ ამას ვიტყვით, რომ ერთსა, ან რამდენსამე ვაგონებს მიმავალის მატარებლისას მავთულები აქვსთ, და ამ მავთულებს, როცა უნდათ, მოახვედრებენ ჩვეულებრივ ტელეგრაფის მავთულსა. ეს მით არის შესაძლებელი, რომ ჩვეულებრივის ტელეგრაფის ბოძები რკინის გზის პირად არის ხოლმე ყოველთვის ჩარიგებული. რაკი ასე თუ ისე მავთულებს ერთმანეთს ახვედრებენ, ადვილი წარმოსადგენია ამ ახლად მოგონილის ტელეგრაფის მოქმედებაცა. შიგ ვაგონში დეპეშის მიმღები ერთი პატარა ხის სტოლია, რომელიც ადვილად გადიტანება ერთის ვაგონიდამ მეორეში. რა თქმა უნდა, ამ სტოლშია მოთავსებული ყოველი ის, რაც საჭიროა სატელეგრაფოდ.

ყოველივე დიდი აზრი, დიდი აღმოჩენანი სადა და უბრალოა, თუ კი კაცი მიაგნებს. ძნელი მარტო მიგნებაა და ძალ-ღონეც ადამიანის ჭკუა-გონებისა მიგნების უნარშია. აი თუნდა, რა იქნება იმაზედ საკვირველი, რომ კაცმა იმისთანა მაშინა მოიგონოს, რომელიც თვითონა სწერს. ამისთანა მაშინა მართლადაც მოგონილია და ლამის საწყალნი ქაღალდების გადამწერალნი ცარიელზედ დასოს და პირიდამ ლუკმა გამოაცალოს. კარგა ხანია რაც ამ საგანს შეეჭიდა ადამიანის გონება და დღეს თითქმის სისრულეში მოიყვანა. დღეს არა ერთი ამისთანა მაშინა და არა ერთგან უკვე მოქმედობს და გადამწერის თანამდებობას დაუზარებლად ასრულებს. ბევრ გვარის აგებულებისაა ამისთანა მაშინები და ყოველ გვარ აგებულებას მომგონის სახელი ჰქვიან. არის მაშინა ალისოვისა, ჰამონისა, ჰალისა, რემინგტონისა და სხვებისა. ყველაზედ უკეთესი თურმე რემინგტონის მაშინაა. მშვენივრად გადააქვს ასო რა სახისაც გნებავთ, გარკვევითა სწერს, ნიშნებს უსვამს თავის ადგილას და მეტად სწრაფად აკეთებს ყოველს ამას. სტრიქონს გაათავებს თუ არა, ზარს აწკარუნებს, თვალის დახამხამების უმალ ახლა მეორე სტრიქონს აწვდიან და ეგრე მუშაობს თურმე. ორსა და სამს ეგზემპლიარს ერთსა და იმავე დროს ამზადებს, თუ ორსა და სამს თაბახს ქაღალდს მიაწვდით. ეს მაშინა 200 მანათად ჰღირს, ჰალის მაშინა კი 80 მანათად და ჰამონისა 30 მანათადა.

სხვათა საოცართა საგანთა შორის უნდა მოვიხსენიოთ ერთ ნაირი საღებავი წამალი, რომელიც ეხლახან ამოუჩენიათ და რომელიც თავის თავად, უცეცხლოდ ანათებს თურმე. სამზღვარ გარედ დიდს ხმარებაშია დღეს ეს საღებავი წამალი ბნელაში სინათლეს გამოსცემს ხოლმე და ძალიან გამოსადეგია იმისთანა ადგილებში, საცა ცეცხლის გაჩენის შიშია სანთლის გაუფრთხილებლად ხმარებისაგან. ამ წამლით გალესილი კედლები იმოდენა სინათლეს იძლევიან, რომ ოთახში კარგა ნათლად გაარჩევს კაცი თვითოეულს საგანს. ამიტომაც სამზღვარ გარედ თველაში, გომურებში, სპირტის სარდაფში, ნავთის შესანახავ ოთახში, ერთის სიტყვით ყველგან, საცა კი ბნელაში სინათლე საჭიროა და ცეცხლის გაჩენის შიშია, ყველგან ამ წამლით ლესვენ კედლებსა.

ამ ფელეტონს ისე არ გავათავებთ, რომ ჩვენის ქალების სანუგეშოდაც არა ვსთქვათ რა. მამა-კაცნი ისე სულ გრძელნი არიან, რომ ამ მუქთა-მჭამელს ნახევარს კაცობრიობისას არ ივიწყებენ: ბევრს, რასაკვირველია, თავისკენ მოითლიან ხოლმე და ნამცეცები კი ამ მშვენიერ, მაგრამ უქმ სქესისათვის უხვად ემეტებათ. მაგრამ ქალებს რას ვამუნათებ? ის, რის მოთხრობაც ეხლა მე მინდა, იქნება მამა-კაცს უფრო შეეწიოს, ვიდრე დედა-კაცსა. ერთს ვილაც ჰენრიცის მოუგონია, ანუ უკეთ ვსთქვათ, კეროსინის ლამპა ერთს ახალს საქმეში გამოუყენია. ეს ლამპა ჰენრიცის წყალობით, სანთლის სამსახურსაც უწევს დღეს ადამიანს და ხელით მოსაქმის მაგიერობასაც. საქმე იმაშია, რომ ამ ლამპით მოძრაობაში მოდის პატარა მაშინები, რომელთაც დიდი ღონე არ უნდებათ მოქმედებისათვის, მაგალითებრ, საკერავი მაშინები, ხარატის დაზგა და სხვა ამისთანა. პატარა ორთქლის მაშინა თავისის პაწია ქვაბუნათი დამაგრებულია საკერავის მაშინის სტოლზედ. კეროსინის ლამპა ადუღებს თურმე წყალსა, რომლის ორთქლი ამუშავებს მაშინასა ისე, როგორც ადამიანი და ამ სახით ერთი და იგივე კეროსინის ლამპა ანათებს კიდეც და საკერავსაც აკერვინებს. სულ 125 მანეთი ღირს თურმე თავის საკერავის მაშინითურთ. საათში სამი მეათედი გირვანქისა კეროსინი უნდება.

ადამიანის გონების გამჭრიახობას, როგორც ეტყობა, სამზღვარი არა ჰქონია. ესეც კი უნდა სთქვას კაცმა, რომ ყოველი, რასაც კი კაცი იგონებს, მინამ გაიგებ როგორ არის მოგონილი, გიკვირს და გეოცება და როცა გაიგებ და შეიტყობ ყველაფერსა, ფრთებს ჩამოჰყრი ხოლმე, თითქო ჰნანობ, ნეტავი იმ გაოცებიდამ ცოდნას არ გამოვეყვანეო.

განა რომ ეგრეა, ჩემო მკითხველო!

გააწყო-რა, თავის აზრი ფინანსების შესახებ ვერ გაატარა,—ამბობს „Новое Время“.

გაჯავრდა ისეო, განაგრძობს გაზეთი, რომ პოლემიკის მაგიერ და სხვათა შორის ასეთ ცილსაცა გვწამებსო:

ჩვენის წერილების გამო სამინისტროსგან მოთვისებულმა გაზეთებმა საშინელი ყაყანი ასტეხესო იმ განზრახვით, რომ ჩვენი სამართლიანი აზრი გაექარწყლებინათო.

ამაზედ „Новое Время“ შემდეგ შენიშვნას იძლევა:

როდესაც გაზეთი ჰბედავს ასეთ ცილი-სწამების გამოთქმას, ასეთ ჩირქის მოცხებას, პატიოსნება მოითხოვს, გაზეთმა ის საბუთებიც უჩვენოს, რომელიც მას ნებას აძლევს ასეთის გამბედაობით მძიმე დანაშაულობა შესწამოს სხვა გაზეთსაო.

მაგრამ სხვა რა საბუთი უნდა წარმოადგინოს გაზეთმა თავის ცილის წამების გასამართლებლად იმის მეტი, რომ ჩვენ არ ვეთანხმებით იმის «ფინანსიურ სისტემასაო».

ამის შემდეგ გაზეთი კვალ-დაკვალ უდგება თავის მოწინააღმდეგეს...

ერთად-ერთი საფუძველი, რომელიც ნებას აძლევს გაზეთს, ასე გამბედაობით ილაპარაკოსო, — ათავებს გაზეთი თავის პასუხს, ის არისო, რომ

ქაღალდზე სუყველაფრის დაწერა შეიძლება და კიდევ ისაა, რომ «ბეჭდვითი ყაჩაღობა» ჩვენში პატივცემულია და არავის არ აშფოთებსო.

მხოლოდ ერთი ადგილი გვაკვირვებს გაზ. „Нов. Врем.“-ს წერილში: გაზეთი სწუხს, რომ «ბეჭდვითი ყაჩაღობა» ჩვენში პატივცემულიაო. ამას ამბობს ის გაზეთი, რომელსაც არც „ყაჩაღობაში“ და არც ლანძღვა-გინებაში სწორი არა ჰყავს!..

# უცხოეთი

(მოწერილი ამბავი)

**პარიჟი**, 15 ივნისს. ამ სამის თვის წინად მთავრობა აცხადებდა, რომ რესპუბლიკას პრინცებისაგან არაფერი საშიშროება მოელისო და უარს იდგა კანონი დაედგინა პრინცების საფრანგეთიდამ განდევნის შესახებ. ახლა კი თითონ მთავრობამ მაჰმართა პარლამენტს და სთხოვა, რომ მავნებელის პრინცების განდევნის ნება მიეცეს. მართებლობის ამ ნაირმა უეცარმა საქციელმა ყველანი გააოცა და განდევნის მომხრეებმა ნიშნის მოგებით მოაგონეს მას, რომ ის ისე უსაფუძვლოდ უარს ჰყოფდა სამის თვის წინად იმას, რაც დღეს თითონვე საჭიროდ დაუნახავს.

მართლაც, რა იყო ამის მიზეზი? მართებლობამ გამოაცხადა, რომ მე ვითხოვ პრინცების განდევნის ნებას იმ საქციელის გამო, რომელიც ორლეანის გვარეულობის უფროსმა თავის ქალის დაქორწილების დროს ჩაიდინაო. გრაფ დე-პარიმ, მონარქიელები მომავალს მეფედ სთვლიან, პორტუგალიის მეფის შვილს მიათხოვა ქალი და, მართლა რომ, მეფური ქორწილი გადაიხადა. ამ ქორწილის დროს მართებლობას ერთი რამ სწყენია, სახელდობრ ის, რომ გრაფ დე-პარიმ ყველა სახელმწიფოების ელჩები დაიპატიჟა და მერე იმ სახით, თითქო ის ნამდვილი მეფე იყოსო. ელჩები, რასაკვირველია, არ ეწვივნენ, თუმცა კი დააგდეს ხმები, რომ გერმანიისა, რუსეთისა და ინგლისისა ყველაზე პირველად მივიდნენ გრაფთანაო.

მე ამ სამის თვის წინად პრინცების გაძევების წინააღმდეგ იმიტომ ვიყავიო, სთქვა ფრეისინემ, რომ მინდოდა მონარქიელები დამეშოშმანებინა და ცოტად არის მაინც მომერიგებინაო. მე მეგონა, რესპუბლიკის მართებლობის სულ-გრძელება მონარქიელებს და პრეტენდებს (ტახტის მაძიებლებს) ჭკუას ასწავლიდა და დააცხრობდაო, მაგრამ უკანასკნელმა გარემოებამ დამარწმუნა, რომ ჩემი იმედი ტყუილი გამოდგაო.

რესპუბლიკელის დეპუტატების დიდი უმეტესობა განდევნის მსურველი იყო იმ თავითვე. თუ ამას წინად პრინცების განდევნა არ გადასწყდა, ეს მართებლობის ბრალია. ახლა კი, როცა თვით მართებლობამ ითავა ეს საქმე, დეპუტატებმა არამც თუ ნება მისცეს, რომ პრინცები განედევნა, არამედ უმთავრესის პირების განდევნა დაადგინეს, დანარჩენებისა კი მართებლობის ნება-ყოფლობაზე მიანდეს.

მონარქიელები, რაც ძალა და ღონე ჰქონდათ, ეცადნენ, პრინცები დაეცვათ. მათ შეუერთდენ 50-მდე რესპუბლიკელები, რომელნიც განდევნას უარსა ჰყოფდენ, როგორც შეუფერებელს და უსამართლო საშუალებას. ამათის აზრით, პრინცები თუ საშიშარნი არიან რესპუბლიკისათვის თავის ქცევით, უნდა დაისაჯნენ, როგორც უბრალო მოქალაქეები. სხვები ამბობენ, რომ ეს აზრი ჭკუაზე ახლოა, მაგრამ საქმე ის არის, რომ პრინცების დასჯა, როგორც უბრალო მოქალაქეებისა, ისე ადვილი არ არის ესლანდელს საფრანგეთშიო, როგორც ბევრსა ჰგონიაო. ჯერ ერთი რომ ძნელია კაცმა პირ-და-პირ უჩვენოს რაიმე მათი დანაშაულობა, თუმც ყველა კი სახეში გვაქვსო, მეორე რომ პრინცის დატუსაღება ან სხვა ნაირი დასჯა ხათაბალას აუტეხავს მართებლობასაო. ევროპის ხელმწიფეებს შორის პრინცებს ბევრი ნათესავები ჰყავთ და ისინი ყოველთვის ამათ მხარეს დაიჭერენო.

პრეტენდენტები ისე ხერხიანად იქცევიან, რომ ძნელია კაცმა მათ დანაშაულობა დაუმტკიცოს. ყველამ იცის, რომ ორლეანებმა უკანასკნელის არჩევანების დროს ბევრი ფულები დახარჯეს, მაგრამ როგორ დაუმტკიცოთ ესა? მილლიონობით გაავრცელეს ხალხში გრაფ დე-პარის სურათები ამ ნაირის ქვეშწარწერით: ფილიპე **VII**, გრაფ დე-პარი,—მაგრამ რას მოუხერხებთ ამას წინააღმდეგ!

ერთმა ბონაპარტიელმა დეპუტატმა შეიტანა წინადადება, რომ პარლამენტის გადაწყვეტილების დამტკიცება ერსა ვთხოვოთ ჰო-ს, ან არა-ს თქმითაო. ამ ბონაპარტიელებისაგან შეყვარებულს პლებისციტს (ერთს დაკითხვას), ცხადია, არ შეიწყნარებენ, რათგან გამოცდილებით იციან რესპუბლიკელებმა, რასაც ნიშნავს ამ ნაირი დაკითხვა.

საფრანგეთის ერმა პოლიტიკისა არა იცის-რა. იმას მარტო ის უნდა, რომ მისი საქმეები კარგად მიდიოდეს. მხოლოდ თავის საქმეების მსვლელობის მიზეზებს ის მეცნიერულად და გონივრულად არ იკვლევს. რესპუბლიკის დროს თუ იმის საქმე კარგად არ მიდის და ეუბნებიან, რომ ეს რესპუბლიკის ბრალიაო, ის მონარქიას მოინდომებს. ხალხი დიდს, მიჩეულს განსხვავებას ვერ ხედავს მონარქიისა და რესპუბლიკის შორის. ოღონდ აღებ-მიცემა და მრეწველობა კარგად მიდიოდეს და ჩემთვის სულ ერთიაო, აი რას ამბობს აქ ხალხი.

პრინცების ცუდის გავლენის დასათრგუნად ზოგნი სხვა საშუალებას ურჩევენ: წავართვათ პრინცებს ის მილლიონები, რომელიც უსამართლოდ აქვთ მათ დაჩემებულიო და მაშინ რესპუბლიკას მათი აღარაფერი შიში ექნებაო. ეს პროექტი შეიტანა პარლამენტში მუშა-დეპუტატმა ბასლიმ. თქმა არ უნდა, რომ პროექტს ყურადღებას არ მიაქცევს პარლამენტი.

ბასლის თუ პარლამენტში არა აქვს გავლენა, სამაგიეროდ დეკაზვილში მეტის-მეტად პატივცემული არის. იმის წყალობით დეკაზვილელი მუშები გამარჯვებულნი დარჩნენ იმ ბრძოლაში, რომელსაც ისინი მადნების კომპანიას უწევდნენ 108 დღის განმავლობაში მშიერის მუცლით. მუშებმა ორჯელ სცადეს მედიატორები დაენიშნათ საქმის გასარჩევად, და კამპანიამ ორჯელვე უარი განაცხადა. ამას უნდოდა, რომ მუშები დამორჩილებოდენ ამის ქიფსა და სურვილსა. ბოლოს მესამე მედიატორობამ გასჭრა. ამასაც მართებლობის ჩაგონებას აწერენ. როგორც უნდა იყვეს, მუშებმა, გაიმარჯვეს და კომპანიას არ დააკლებინეს ფასი. ყველა გაზეთები სიამოვნებით იხსენიებენ, რომ 105 დღის განმავლობაში არა გვარი არეულობა არ მომხდარაო მუშების მხრივ. ეს გარემოება დეპუტატ ბასლის უნარს უნდა მიეწეროს.

დეკაზვილის მუშებს ეხლა აღარა უჭირთ რა, რაკი მუშაობას ხელი მოჰკიდეს. პარიჟში მუშა ხალხი ასი-ათასობით ითვლება. ძნელია ამათი მდგომარეობა, თუ საქმე და მუშაობა არა აქვთ. მაშინ მთხოვრობა საშინლად ვრცელდება, თუმცა ბევრს საშუალებას ხმარობენ, რომ გლახები არ აწუხებდნენ საზოგადოებასა. მთხოვრობა აქ ორ ნაირია: ერთი პირ-და-პირი, როდესაც გლახა პირ-და-პირ ხელს გიშვერთ და მოწყალებას გთხოვთ, მეორე თავ-დაფარული, როდესაც მთხოვარი დადის ქუჩა-ქუჩა და სარკმელს ქვეშ გიმღერთ სხვა-და-სხვა შემაბრალებელს სიმღერებს. ამ ნაირი მთხოვრები უფრო უმეტესად მუშები არიან, რომელთაც საქმე ვერ უშოვნიათ.

მრავალს გასართობებს და ლატარიებს მართვენ, რომ ღარიბებს რაიმე შემწეობა აღმოუჩინონ. მაისის განმავლობაში ტუილერის ბაღი მორთულ-მოკაზმული და სხვა-და-სხვა სასიამოვნო სანახავებით სავსე იყო საზოგადოების მოსაზიდავად. მარტო ამ გასართობებიდგან 100,000 ფრანკი შემოვიდა ღარიბების სასარგებლოდ. უხვად აგროვებენ ფულებს, მილლიონობით ურიგებენ გაჭირვებულ ხალხსა, მაგრამ რა მოსპობს სიგლახეს, როდესაც ის ზოგისთვის ერთად-ერთს საშუალებას შეადგენს და ზოგს გამოსარჩენ ხელობად გაუხდია?

დ. კ—შვილი

## გლადსტონის მანიფესტი

ამომრჩეველთა მიმართ.

აი რა მანიფესტით მიჰმართა გლადსტონმა თავის მიდლოტიანის ამომრჩეველთა: „ბატონებო! რადგანაც კანონ-პროექტი, ირლანდიის საუკეთესო გამგეობისათვის შედგენილი, უარჰყვეს, მინისტრებმა სთხოვეს დედოფალს და დედოფალმაც ინება, რომ პარლამენტი დათხოვნილ იქმნას, რათა ერს გარდაეცეს გადასაწყვეტად ისე დიდად საყურადღებო და მასთან ისე დიდად მარტივი საგანი, რომლისთანაც ამ ორმოც-და-ათის წლის განმავლობაში ერს არა ჰქონია განსასჯელად. მხოლოდ იმიტომ რომ ეს საგანი დიდად საყურადღებოა, იძულებული ვარ, მე-14 პარლამენტში მოვიპოვო კიდევ ჩემთვის დეპუტატობა, რადგანაც 13-ს პარლამენტში უკვე ვყოფილვარ. აი ამისათვის, გთხოვთ მეხუთედ კიდევ პატივი მცეთ და თქვენი ნდობა არ ამყაროთ. გთხოვთ ამას მაშინ, როცა ჩემის ხნის კაცს უპირველესს ყოვლისა მოსვენება ეჭირვება.

უკანასკნელ არჩევანების დროს, როგორც ადრესით, რომლითაც თქვენ მოგმართეთ, აგრეთვე სხვა-და-სხვა დროს წარმოთქმულ სიტყვით ვსცდილობდი დამემტკიცებინა თქვენთვის რომ ირლანდიის საქმე უმწვერვალესად გამწვავებულია.

თუმცა მეტად სუსტი და უღონო იყო უკანასკნელი სამინისტრო ჩვეულებრივ საქმეთათვის, მაინც კიდევ იმ სამინისტროს შეეძლო ასე თუ ისე წამალი რამ დაედო ირლანდიის ტკივილისათვის. ყოველს კეთილ-გონიერ სახსარს გულ-წრფელობითა და დიდის თანაგრძნობით მიეგებებოდა ლიბერალთა დასი. ირლანდიის გაჭირვების საქმე შეიძლებოდა ახლანდელის სესიის განმავალობაში გადაგვეწყვიტნა, და 1885 წლის პარლამენტს დამშვიდებით შეეძლო კანონ-მდებლობის შეჩერებულთა საქმეთათვის მიეყო ხელი. მე მზად ვიყავი ყოველის ღონის-ძიებით დახმარება აღმომეჩინა ამ მხრივ კაბინეტისათვის.

ხოლო ამ წლის 14 იანვარს გამოგვიცხადეს, რომ სამინისტრო, ლორდ კარნარვონის გარდა, ამჯობინებს სულ სხვა პოლიტიკას, პოლიტიკას ძალ-დატანებისას და ძალ-მომრეობისასაო. ამ სახით ირლანდიის საქმე ყველაზედ წინ წამოდგა და სხვა საქმეები უკან დააყენა. ბოლოს დაჰკრა ჟამმა და მხოლოდ ის-ღა დაგვრჩა გადასაწყვეტი, რომ რაიმე მოგვეხერხებინა ირლანდიის საქმისათვის და როგორმე მოგვეელო. ჩემის აზრითა და გაგებით, ძალ-მომრეობითნი ღონის-ძიებანი, თუ ყოფილს ამბებს დავაკვირდებით, შეუსაბამონი არიან და სამარცხვინო მარცხით შეიმოსებოდა ირლანდიის საქმე.

მე ვგონებდი, რომ საჭირო იყო რომელიმე სხვა ღონე მოგვეძებნა ირლანდიის გამგეობისათვის, ძალ-მომრეობით ღონის-ძიებათა გარეშე, და მე დარწმუნებული ვიყავ, რომ ეს ღონე შეიძლებოდა აღმოგვეჩინა. ამ მოსაზრებისა გამო მე სრულებითაც არა მწყენია, რომ წინანდელმა კაბინეტმა თავი ვერ დაიჭირა და როცა მათმა უდიდებულესობამ მიმიწოდა ახალის კაბინეტის შესადგენად, მე ვიტვირთე ეს მონდობილობა და სახეში მქონდა არა-ძალ მომრეობითი პოლიტიკა. ამისათვის მაშინვე ვსთხოვე ყველას, ვისი შემწეობის იმედიცა მქონდა, როგორც თანა მეინახეებისა და ამხანაგებისა, კარგად მოიფიქრეთ მეთქი, შეიძლება თუ არა მიენიჭოს ირლანდიას თვით-მმართველობა, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ პატივი იმპერიისა ხელ-შეუხებელი დარჩეს და ერთიანობა დაცულ იქმნას მეთქი.

კაბინეტი შევადგინეთ და ჩვენ ხელი მივყავით საქმეს.—ეხლა თქვენ მიჰხვდებით, ბატონებო, როგორა და რისთვის გადაგვადებინებდა ხოლმე ირლანდიის საქმე სხვა საქმეებსა და წინ-მსვლელს კანონ-მდებლობას შეაფერხებდა ხოლმე. როგორც სოციალებურს საქმეს, ირლანდიის საქმესაც არ შეიძლებოდა რომ პირველი ალაგი არ მისცემოდა. წინანდელი სამინისტრო მართალი იყო, რომ ისეთი ალაგი დაუთმო ირლანდიის საქმეს, მაგრამ თვითონ საქმე კი ისე ვერ წაიყვანა, როგორც სასურველი იყო. ჩვენი პირ-და-პირი მოვალეობა იყო წარგვედგინა მთავრობისათვის სხვა სახსარი, იმის მაგიერ, რომელიც წინად არ შევიწყნარეთ და უარ-ვყავით.

ყველა ამის გამო, ბატონებო, ფრიად საყურადღებო და მასთან მარტივი საქმე სძევს თქვენს წინაშე გარდასაწყვეტად. გსურთ ირლანდია ძალ-მომრეობით განაგოთ და ჰმართოთ, თუ გინდათ რომ ნება მისცეთ, თავისი საქმე თავათვე ირლანდიამ განაგოს და წარიმართოს? აქ სიტყვას არ გავაგრძელებ უარ-ყოფილის პროექტების დაწვრილებათა გამო. ეს უფრო დააბნელებს საქმეს და ისეთივე უნაყოფო იქნება, როგორც ჩხრეკა გამდგარ-ლიბერალების პროექტებისა, რომელნიც კოჰლობენ კიდეც, კუდსაც აქეთ-იქით იქნევენ და მიკოწიწ-მოკოწიწებულნიც არიან.

(შემდეგი იქნება)

# ანგარიში

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ საქმეთ-წარმოებისა

(შემდეგი*)

III

გამგეობის მოქმედება.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა, მთავრობისაგან დამტკიცებულის წესდების ძალით, საანგარიშო წლის განმავალობაში ცდილობდა აღესრულებინა თვისი მოვალეობა. ამისი ზრუნვა შეეხებოდა: ა) საზოგადოების უწყებაში მყოფს სკოლებს, ბ) სახალხო სკოლების შემწეობას, გ) გასინჯვას, დაფასებას და ბეჭდვას წიგნებისას, დ) საზოგადოების წიგნთ-საცავის სისრულესა და ცნობაში მოყვანას და ე) საზოგადოებისადმი თანაგრძნობას, გამოხატულსა სხვა-და-სხვა შემოწირულობით.

IV

საზოგადოების სკოლები.

ა) ბათუმის სკოლა.

პირველი სკოლა, რომელიც საზოგადოების გამგეობამ გახსნა თავის საკუთარის ხარჯით ხუთის წლის წინად (1881 წ.) არის ბათუმის სკოლა. არც ერთს თავის სკოლაზედ არ მოსვლია იმდენი ხარჯი, რაც ბათუმის სკოლაზედ, მაგრამ ამასთანავე არც ერთს საზოგადოების სკოლას არა აქვს იმისთანა უპირატესი მნიშვნელობა, როგორც ბათუმისას. საანგარიშო წლის განმავალობაში საზოგადოებამ დახარჯა ამ სკოლაზედ 1847 მან. და 59 კაპ. რასაკვირველია, ამდენი ფული მძიმე ხარჯია საზოგადოებისათვის, მაგრამ ამ გვარს ხარჯს ითხოვს თვით სკოლის სახლი, ადგილობრივი სიძვირე და სკოლისთვის სახლის ქირა. ამასთანავე საჭიროა შევნიშნოთ, რომ სკოლის ხარჯი დღითი-დღე მატულობს და შემდეგშიაც იმედი არ არის, რომ ამ ხარჯმა იკლოს. ამ გარემოებათა მიხედულობით, გამგეობა დიდს ფიქრშია და ეძებს ყოველს ღონ-

*) იხ. „ივერია“ № 124, 125 და 126.

ნის-მიებს, რომ იძულებული არ შეიქმნეს გადუხვიოს იმ გზას ბათუმის სკოლის შესახებ, რომელსაც ის ერთხელ დასდგომია.

საანგარიშო წლის განმავლობაში სკოლა შესდგებოდა ოთხის განყოფილებიდამ.

ოთხსავე განყოფილებაში სწავლობდა იანვრამდის 54 მოწაფე. ამათში იყო მაჰმადიანი 20, ქრისტიანი ქართველთა ტომისა 34. ოც მაჰმადიანთაგან იყო ბეგი 9 აღა 4, ეფენდი 3, გაჭართა და ხელოსანთა შვილები 4.

ოც-და-თოთხმეტ ქრისტიანთაგან იყო აზნაური 7, გლეხი 27. აპრილის გასულს საანგარიშო წლისა იყო 47 მოწაფე. ამათში მაჰმადიანი 10, ქრისტიანი 37.

ოთხსავე განყოფილებას ასწავლიდა ერთი მასწავლებელი. ცხადია, რომ ოთხი განყოფილების სწავლება ერთის პირისთვის დიდი ტვირთია. ამისთვის გამგეობას არა ერთხელ ჰქონია სჯა, რომ მასწავლებლისთვის მიეშველებინა თანაშემწე, მაგრამ, უფულობის გამო, ამის განხორციელება ვერ მოახერხა. გამგეობა საზოგადოებისა სკოლის მასწავლებელს იცნობს პატიოსან მუშაკად და ფრიად სასარგებლო პირად ბათუმის სკოლის წარმატებისთვის და რადგან თანაშემწის დანიშნა ვერ დაინახა შესაძლოდ, ამისთვის დაუნიშნა მასწავლებელს მეტის ჯაფისთვის ჯილდოდ 100 მ. წლევანდელი ხარჯი სკოლისა: მასწავლებელს ჯამაგირი 800 მ., მასვე ჯილდო 100 მ., მაჰმადის სჯულის მასწავლებელს, ანუ ხოჯას 240 მ., სკოლის მოსამსახურეს 120 მ., სახლის ქირა 450 მ., სასწავლო წიგნები და ნივთები 59 მ. 62 კ., შეშა სკოლისთვის 40 მ., წვრილმანი ხარჯი 37 მ. 97 კ., სულ 1847 მ. 58 კ., ესრეთი ხარჯი, მართალია, მძიმეა ჩვენის საზოგადოებისთვის, მაგრამ ამასთანავე მოვახსენებთ საზოგადოებას, რომ 1881 წლიდამ 1886 წლამდე ბათუმის სკოლაში უსწავლია 143 მოწაფეს. მხოლოდ ეს რიცხვი სკოლაში ნასწავლთა დაარწმუნებს საზოგადოებას, რომ ბათუმის სკოლას შესაფერი ნაყოფი მოაქვს ჩვენის საზოგადოებისთვის და რამდენადაც სახსრებს მოუმატებთ, იმდენად უფრო დიდს სარგებლობას მოგვცემს აღნიშნული სკოლა.

(შემდეგი იქნება)

# დეპეშა

13 ივნისს

**ემსი.** აქ მობრძანდა გერმანიის იმპერატორის სანახავად დანიის კოროლი.

**პარიჟი.** გრაფმა პარიჟელმა დაბეჭდა მანიფესტი და წინააღმდეგობას აცხადებს მალ-მომრეობის გამო და პრინცების განდევნას შურის მიებას უწოდებს იმ $3^1/_2$ მილლიონ კენჭისათვის, რომელიც 4 ოქტომბერს მონარქიამ მიიღოვო.

**სოფია.** ადრესი საერო კრებისა მთავრობის სახარგებლოდ შესდგა. კენჭის ჩამოტარების დროს ოცი მოწინააღმდეგე დეპუტატი გამოვიდა დარბაზიდამ. ადრესში გამოთქმულია ხურვილი, რომ ბოლგარიისა და აღმოსავლეთ რუმელიის დამოკიდებულება ისევე დარჩეს, როგორც ეხლა არისო.

14 ივნისს

**ლონდონი.** პარლამენტი დათხოვნილ-იქმნა დედოფალის სიტყვით, რომელშიაც ნათქვამია, რომ პარლამენტი დათხოვნილია იმ მიზეზით, რომ ირლანდიისათვის ცალკე პარლამენტის დაარსების გამო ხაშიროა ვიცოდეთ ერი რას იტყვისო. სიტყვაში ესეც არის ნათქვამი, რომ ინგლისი სხვა სახელმწიფოებთან მალიან კარგად და მეგობრულად არის განწყობილიო,

**ვენა.** აქ მოვიდა ჩერნოგორიის მთავარი, გრაფი კალნოკი ნახა და დიდ ხანს დაჰყო მასთანა.

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძ ვ ე ლ ი ი ნ დ ი ქ ტ ი ო ნ ი მე-14, ა მ ი ს ი ქ ო რ ო ნ ი კ ო ნ ი — უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ა ხ ა ლ ი ი ნ დ ი ქ ტ ი ო ნ ი მე-4, ა მ ი ს ი ქ ო რ ო ნ ი კ ო ნ ი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

ივნისი 30 დღით არის.

**15 დღე კვირა.** წინ.-მეტყ. ამოსისა. სომეხ. დღესასწაული ეჩმიაძინის ეკკლესიისა. კათოლ. ვიტასი და კრესცენციასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2—44; ტფილისმზე ამოდის 4—26, ჩადის 7—33; მთვარე ამოდის 1—29, ჩადის 2—27.

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

1 ივნისიდამ 1-ლ ივლისამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | . | 5 კაპ. |
| წითელი პური 1-ის გარისხისა | . | $2^1/_2$ |
| › › 2 › | | 2 › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | | $4^1/_2$ › |
| › › 2— | | 3 › |
| › › 3 › | | $2^1/_2$ › |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა | . . | $4^1/_2$ › |
| მე-2 ხარისხისა | . . | $3^1/$ › |
| მე-3 — | . . . | 3 › |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | 8 › |
| › 2 › | | 7 › |
| სუკი | . . . . | 14 › |
| ცხვრის ხორცი | . . . . | 7 › |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდ მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ი ლ ი თ | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| ტფილისი . | — | — | 8 | 35 | ბათუმი . . | — | — | 8 | 35 |
| ავჭალა. . . | 8 | 52 | 8 | 55 | ქობულეთი . | 9 | 25 | 9 | 28 |
| მცხეთა. . . | 9 | 13 | 9 | 21 | ნატანები . . | 9 | 54 | 9 | 57 |
| ქსანი . . . | 9 | 39 | 9 | 41 | სუფსა . . | 10 | 21 | 10 | 27 |
| კასპი. . . . | 10 | 6 | 10 | 9 | ლანჩხუთი . | 11 | — | 11 | 3 |
| გრაკალი . . | 10 | 29 | 10 | 31 | ნიგოითი . . | 11 | 14 | 11 | 16 |
| გორი . . . | 10 | 54 | 11 | 4 | საჯავახო. . | 11 | 39 | 11 | 41 |
| ქარელი . . | 11 | 33 | 11 | 36 | სამტრედია | 11 | 56 | 12 | 15 |
| გომი . . . | 12 | — | 12 | 4 | კოპიტნარი . | 12 | 35 | 12 | 37 |
| ხაშური . . | 12 | 21 | 12 | 41 | რიონი . . . | 1 | 7 | 1 | 20 |
| სურამი . . | 12 | 53 | 12 | 56 | აჯამეთი . . | 1 | 32 | 1 | 34 |
| ფონი . . . | 1 | 24 | 1 | 27 | ყვირილა . . | 2 | 11 | 2 | 26 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 14 | 2 | 34 | ძირულა . . | 3 | 4 | 3 | 6 |
| მარელისი . | 3 | 3 | 3 | 5 | ბელაგორი . | 3 | 33 | 3 | 36 |
| ბელაგორი | 3 | 32 | 3 | 35 | მარელისი . | 4 | 3 | 4 | 5 |
| ძირულა . . | 4 | 2 | 4 | 5 | ბეჟათუბანი | 4 | 34 | 4 | 54 |
| ყვირილა. . | 4 | 43 | 4 | 58 | ფონი . . . | 5 | 41 | 5 | 44 |
| აჯამეთი . . | 5 | 35 | 5 | 37 | | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | სურამი. . | 6 | 12 | 6 | 15 |
| რიონი. . . | 5 | 49 | 6 | 4 | ხაშური . . | 6 | 27 | 6 | 42 |
| კოპიტნარი . | 6 | 34 | 6 | 36 | გომი . . | 6 | 59 | 7 | 3 |
| სამტრედია . | 6 | 56 | 7 | 16 | ქარელი . . | 7 | 27 | 7 | 30 |
| საჯავახო. . | 7 | 31 | 7 | 33 | გორი . . . | 7 | 59 | 8 | 9 |
| ნიგოითი . . | 7 | 56 | 7 | 59 | გრაკალი . . | 8 | 32 | 8 | 34 |
| ლანჩხუთი . | 8 | 10 | 8 | 14 | კასპი. . . | 8 | 54 | 8 | 57 |
| სუფსა . . . | 8 | 47 | 8 | 55 | ქსანი . . | 9 | 22 | 9 | 24 |
| ნატანები. . | 9 | 19 | 9 | 22 | მცხეთა. . . | 9 | 42 | 9 | 48 |
| ქობულეთი . | 9 | 48 | 9 | 51 | ავჭალა. . . | 10 | 6 | 10 | 8 |
| ბათუმი . . | 10 | 41 | — | — | ტფილისი . | 10 | 25 | 10 | 55 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 20 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 15 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 20 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ი ლ ი თ | | | | | ღ ა მ ი თ | | | |
| ტფილისი . | — | — | 3 | 15 | სურამი. . . | — | — | 2 | 35 |
| ავჭალა . . | 3 | 38 | 3 | 41 | ხაშური . . | 2 | 47 | 3 | 2 |
| მცხეთა . . | 4 | 6 | 4 | 16 | გომი . . . | 3 | 26 | 3 | 31 |
| ქსანი . . . | 4 | 42 | 4 | 45 | ქარელი . . | 4 | 5 | 4 | 12 |
| კასპი . . . | 5 | 20 | 5 | 25 | გორი . . | 4 | 53 | 5 | 8 |
| გრაკალი . . | 5 | 53 | 5 | 56 | გრაკალი . . | 5 | 40 | 5 | 45 |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| გორი . . . | 6 | 28 | 6 | 43 | კასპი . . . | 6 | 13 | 6 | 19 |
| ქარელი . . | 7 | 24 | 7 | 29 | ქსანი . . . | 6 | 54 | 6 | 57 |
| გომი . . . | 8 | 3 | 8 | 7 | მცხეთა . . | 7 | 23 | 7 | 33 |
| ხაშური . . | 8 | 31 | 8 | 46 | ავჭალა . . | 7 | 58 | 8 | 1 |
| სურამი . . | 8 | 58 | — | — | ტფილისი . | 8 | 24 | | |


# განცხადებანი

## 1 ივლისს მოგებების ბილეთების თამაშობაა

ვისაც ჰსურს შეიძინოს ამ მომავალ ტირაჟისათვის მოგები ბილეთები, ისე რომ ფული წვრილ-წვრილად გადაიხადოს და ბეიდ მცირე ფული, ესე იგი 15 მანათი შეიტანოს, ხოლო ყოველ თთვე ხუთ-ხუთი მანათი, ესთხოვ მიმართოს «ივერიის» მაღაზიას, გოლოვინის პროსპექტზე, კლასიკურის გიმნაზიის პირ-და-პირ. აგენტი პეტერბურგის საბანკირო ფირმისა «ბ. ბლოკკი» პ. მალიშევი. (2—2)

### ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან.

მმართველობა ტფილისის საადგილ-მამულო ბანკისა ამით აუწყებს გირავნობის ფურცლების პატრონთ, რომ ზემოხსენებულის ბანკის კუპონებსა და ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცლებში ფულის მიღება შეიძლება ქალაქ ტფილისს—ბანკის კასსაში, ს.-პეტერბურგსა და ვარშაში—ბ-ნ კაველბერგერის საბანკირო სახლის კანტორებში, მოსკოვს—პოლიაკოვის კანტორაში და სახელმწიფო ბანკის ყველა განყოფილებათა და კანტორებისაგან. (1—1)

### ტფილისის საქალაქო გამგეობისაგან.

ამ წლის 24 ფებერვალს უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო რჩევის აზრის ძალით საქალაქო გამგეობა ვალდებულია შეადგინოს ტფილისის მცხოვრებელთა ოჯახების სიები. საქალაქო გამგეობა, შეუდგა რა ამ საქმეს, პოლიციის დახმარებით უმორჩილესადა სთხოვს მცხოვრებლებს: 1) წარუდგინონ პირად საოჯახო სიების შემდგენელთ მეტრიკის მოწმობანი წლოვანობაზე, ხოლო თუ სახლიდამ წავლენ სადმე, ეს მოწმობანი ანუ იქიდამ ამოწერილი ბარათები დაუტოვონ იმას, ვინც სახლში რჩება; 2) უკეთუ მეტრიკის მოწმობანი რომელსამე სახელმწიფო, ან კერძო დაწესებულებაში ინახება, ან რომელსამე სასწავლებელში, მაშინ წარუდგინონ სიების შემდგენელთ იქიდამ ამოწერილი ცნობა, თუნდა სრულიად კერძოთაც იყოს იგი ამოწერილი. იქონიონ იმათ, ვინც სახლში იმყოფება, დაწერილი, თუნდ სულ უბრალო ქაღალდის ნაჭერზედაც, ცნობა რა ენითაც უნდა იყოს, იმის თაობაზედ, — თუ რამდენი სულია ოჯახში, თუ სხვაგან არის რომელიმე წევრი ოჯახისა, სახელდობრ, სად იმყოფება, რა სავაჭრო დოკუმენტი აქვს, რომლის ძალითაც ვაჭრობს ან ხელოსნობს, ე. ი. პირველის გილდის მოწმობა აქვს, მეორისა, თუ მოწმობა საწვრიმალოთი ვაჭრობისა, აგრეთვე იმაზე,—თუ ვინ რა წოდებისაა, თავად-აზნაურობისა, სასულიეროსი, საპატიო მოქალაქობისა, თუ დაბალ მოქალაქობის წოდებისა. (3—1)

### ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა

რობინზონ კრუზე, თხზულება დეფოსი, თარგმანი რუსულიდგან ანასტასია თუმანიშვილისა. გამოცემა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა."

ფასი ექვსი შაური

საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების კანცელარიაში, ბანკის ქუჩაზე (Банковскій переулокъ), სახლის № 23. ისყიდება ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში; ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების და ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიებში. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის თვით საზოგადოების კანცელარიაში არა ნაკლებ 10 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნი ხუთ შაურად. (10—5)

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა

თხზულებანი

ა. მ. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგი)

პირველი ტომის მეორე ნაწილი.

ამ წიგნზედ ხელის მომწერთ, რომელთაც კვიტანცია აქვსთ, სურვილისამებრ შეუძლიანთ მიიღონ მეორე ნაწილის მაგივრად პირველი ნაწილი გ. ჩარკვიანის წიგნების მაღაზიაში. (5—5)

არ. ჩარკვიანის

ქართულ წიგნის მაღაზიაში ისყიდება ახლად შედგენილი

## ქართული ხმები

ნოტებზედ გადაღებული ან ბენაშვილისაგან.

ფასი 1 მან. და 60 კაპ.

დაიბეჭდა და ისყიდება გრიგ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში „მეთოდიური სახელმძღვანელო სამშობლო ენის შესასწავლებლად", შედგენილი ა. ნათაძისაგან. ფასი 20 კაპეიკი


Дозволено цензурою Тифлисъ 14 іюня, 1886 года. სტამბა. გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.